თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია

VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

საერთაშორისო კონფერენცია

მუსიკა კულტურის კონტექსტში

მიძღვნილი გივი ორჯონიკიძის დაბადებიდან 90
და გარდაცვალებიდან 35 წლისთავისადმი

2 - 4 დეკემბერი 2019

International Conference

MUSIC IN THE CONTEXT OF CULTURE

Dedicated to the 90th Anniversary from the Birth
and 35th Anniversary from the Death of
GIVI ORJONIKIDZE

2 - 4 December 2019

კონფერენცია ტარდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

კონფერენციის ორგანიზატორია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

THE CONFERENCE IS HELD WITH THE FINANCIAL SUPPORT OF MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

ORGANIZER OF THE CONFERENCE IS VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

მივესალმები „მუსიკა კულტურის კონტექსტში“ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს.
მნიშვნელოვანია, რომ ეს კონფერენცია ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის **გივი ორჯონიკიძის** დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 35 წლისთავს.
გივი ორჯონიკიძე იყო 60-იანი წლების ქართველ კომპოზიტორთა ბრწყინვალე თაობის აღიარებული ლიდერი. იგი ასპარეზზე გამოვიდა რთულ, მაგრამ უაღრესად საინტერესო პერიოდში, ქართული კულტურისა და მუსიკის აღმავლობის ხანაში, როდესაც გამოჩდნენ ბიძინა კვერნაძე, სულხან ნასიძე, ნოდარ გაბუნია, გია ყანჩელი, ჯანსუღ კახიძე... ეს იყო ადამიანი, რომელიც მხარს უჭერდა ქართულ მუსიკაში ახალი იდეების დამკვიდრებას, ახერხებდა ტოტალიტარიზმის პირობებშიც ყოფილიყო პრინციპული.
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის დროს მან ქართულ მუსიკას საერთაშორისო სარბიელზე გზა გაუკვალა.
გივი ორჯონიკიძე, როგორც მკვლევარი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. თავისი ინოვაციური სამეცნიერო იდეებითა და საფუძვლიანი კვლევებით მან გაამდიდრა ქართული და საბჭოთა მუსიკისმცოდნეობა, აღნიშნა ამ მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც მომდევნო წლების განმავლობაში მის სახელს უკავშირდებოდა.
წარმატებას ვუსურვებ კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

ბადრი მაისურაძე
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე

I would like to welcome the participants of the International Conference “Music in the Context of Culture”.
It is important that the Conference is dedicated to the 90th Anniversary from the birth and 35th anniversary from the death of GIVI ORJONIKIDZE – eminent Georgian scientist, writer, publicist and public figure.
GIVI ORJONIKIDZE was the leader of Georgian composers of the 1960s. He came to the arena in a difficult, but very interesting period, in the development period of Georgian culture and music, when there appeared Bidzina Kvernadze, Sulkhan Nasidze, Nodar Gabunia, Giya Kancheli, Jansugh Kakhidze….. He was a person, who supported introduction of new ideas in Georgian music, managed to be a man of principle under totalitarian conditions.
Being Chairman of Georgian Composers Union he paved the way for Georgian music to the international arena.
As a researcher, Givi Orjonikidze, enjoyed great authority in the Soviet Union and elsewhere. He enriched Georgian and Soviet musicology with his innovative scientific ideas and fundamental studies, marked the new stage in the development of this science, which was associated with his name in the following years
I wish success to the organizers and participants of the Conferenc.

BADRI MAISURADZE
First Deputy Minister of Education,
Science, Culture and Sport of Georgia

გულითადად მივესალმები გივი ორჯონიკიძის დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილეებს.
ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ყველა დროში, მეტად მნიშვნელოვანია საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის მაღალ დონეზე წარმოჩენა. მეცნიერება და კვლევა კი ერის ინტელექტუალური პოტენციალის სარკეს წარმოადგენს.
გივი ორჯონიკიძის მემკვიდრეობა და მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება მოახერხო ჩაკეტილი სივრცის გარღვევა, ქართული (მაშინ საბჭოთა) სამუსიკისმცოდნეო სკოლის საერთაშორისო არენაზე წარმოჩენა და ეროვნული მუსიკის კვლევის ახალი ჰორიზონტების დასახვა. აზროვნების მასშტაბით, საერთაშორისო ავტორიტეტით, ინოვაციური სამეცნიერო იდეებითა და გამოცდილებით გივი ორჯონიკიძე თავად იყო „მუსიკა კულტურის კონტექსტში“ დიალოგის სულისჩამდგმელი და ბუნებრივია, რომ მის სახელთან დაკავშირებული კონფერენციაც ამ დიალოგის ნაწილია. ამ თვალსაზრისით, კონფერენცია არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა ეროვნული სამუსიკისმცოდნეო სკოლის ფართო კულტუროლოგიურ კონტექსტში წარმოსაჩენად.
მივესალმები კონფერენციის თითოეულ მონაწილეს და საინტერესო, შთაბეჭდილებებით აღსავსე მუშაობას ვუსურვებ.

ნანა შარიქაძე
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

I cordially welcome the participants of the Conference dedicated to Givi Orjonikidze's 90th Anniversary.
For a small country, such as Georgia, at all times, it is very important to demonstrate its creative potential and high level of cultural heritage. Science and research is a mirror of the nation's intellectual potential.
Givi Orjonikidze's legacy and work is a clear evidence of how one can break through the locked space, introduce Georgian (at the time, Soviet) school of musicology on the international arena, and draw new horizons in the research of national music. With the scale of thinking, international authority, innovative scientific ideas and experience Givi Orjonikidze himself was the inspirer of the dialogue "music in the context of culture" and, naturally, the conference connected with his name, is also part of this dialogue. In this regard, the Conference is a wonderful opportunity to present national school of musicology in a broader culturological context.
I welcome all participants of the Conference and wish them interesting work full of impressions.

NANA SHARIKADZE
Rector of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

საერთაშორისო კონფერენციას „მუსიკა კულტურის კონ-ტექსტში“ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ატარებს მეორედ. პირველად იგი ჩატარდა 20 წლის წინ, 1999 წელს და მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მუსიკოლოგის – მეცნიერის, პუბლიცისტის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, გივი ორჯონიკიძის დაბადებიდან 70 წლისთავს.

გივი ორჯონიკიძე მისი თანამედროვეების მეხსიერებაში აღიბეჭდა, როგორც უნიკალური მოვლენა. მის უნიკალურობას ბევრი რამ განაპირობებდა – დაწყებული ტრაგიკული ბიოგრაფიითა და ცხოვრების განსაკუთრებული წესით, დამთავრებული მრავალმხრივი ნიჭიერებითა და ენციკლოპედიური ცოდნით. მან პირველად ქართულ (და არამარტო ქართულ) მუსიკოლოგიაში განიხილა მუსიკა ყველაზე ზოგადი – ესთეტიკური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური პრობლემების ჭრილში, სათავე დაუდო მუსიკის ინტერდისციპლინურ შესწავლას.

განსაკუთრებულია მისი წვლილი ეროვნული მუსიკალური კულტურის კონცეფციის შექმნაში, რასაც ტოტალიტარული იდეოლოგია არ მიესალმებოდა. ამ კონცეფციის საფუძველი ქართული მუსიკალური კულტურის მთლიანობის იდეაა, რომლის თანახმად ეროვნულ კულტურას უნდა შესწევდეს უნარი, არა მარტო დაინახოს თავისი თავი ზოგადკულტურულ კონტექსტში, არამედ გაამდიდროს ეს პროცესი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ეროვნულ-სპეციფიკურით.

გივი ორჯონიკიძის სამეცნიერო მოღვაწეობის პათოსი იყო მუსიკის შესწავლა კულტურის კონტექსტში, რაც არა მხოლოდ ამ კონფერენციის, არამედ, ზოგადად, მთელი მუსიკოლოგიის უმთავრესი ამოცანაა.

Tbilisi State Conservatoire hosts the international conference “MUSIC IN THE CONTEXT OF CULTURE” for the second time. It was first held 20 years ego in 1999 and was dedicated to the 70th Anniversary of Givi Orjonikidze, the famous Georgian musicologist – scientist, writer, publicist, critic and public figure.

GIVI ORJONIKIDZE was imprinted in the memory of his contemporaries as a unique phenomenon. His uniqueness was determined by many things – starting with his tragic biography and a special way of life, ending with his multifaceted talent and encyclopedic knowledge. In Georgian (and not only Georgian) musicology he was the first to regard music in the context of, as the most general, – aesthetic, sociological, psychological, culturological problems, laid foundation to the interdisciplinary study of music.

Especially important is his contribution to creating the concept of national musical culture, which was not welcomed by totalitarian ideology. This concept bases on the idea of wholeness of Georgian musical culture, according to which national culture should have the ability to not only see itself in world cultural context, but to enrich this process with the national-specific characteristic, only for it.

The pathos of Givi Orjonikidze’s scientific pursuits was the study of music in cultural context, which is the main objective of not only this conference, but of musicology in general.

2 დეკემბერი

11:00 – დიდუბის პანთეონი. გივი ორჯონიკიძის საფლავის მონახულება
13:45 -17:30 – სამეცნიერო სესია
19:00 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი. მემორიალური საღამო. შესრულდება სულხან ნასიძის IV სიმებიანი კვარტეტი (1985), მიძღვნილი გივი ორჯონიკიძისადმი

3 დეკემბერი

10:00-13:30 – სამეცნიერო სესია
15:00-17:00 – სამეცნიერო სესია
19:00 – საკონცერტო სივრცე „სილქ ფაქტორი სტუდიოს პავილიონი". ქართული მუსიკის კონცერტი. შესრულდება ქართული ტრადიციული საგუნდო მუსიკა და გია ყანჩელის „ლიტურგია" სოლო ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1989), მიძღვნილი გივი ორჯონიკიძისადმი

4 დეკემბერი

10:00-13:00 – სამეცნიერო სესია
14:30 – ექსკურსია მცხეთაში კონფერენციის მონაწილე უცხოელი სტუმრებისათვის

PROGRAM OF THE CONFERENCE

December 2

11:00 – Visit to the Didube Pantheon, to pay honor to Givi Orjonikidze

13:45-17:30 – Scientific Session (Tbilisi State Conservatoire, auditorium 401)

19:00 – The Recital Hall of TSC. Memorial evening. On the program – String Quartet by Sulkhan Nasidze, dedicated to Givi Orjonikidze

December 3

10:00-13:30 – Scientific Session

15:00-17:00 – Scientific Session

19:30 – Concert venue "Silk Factoru Studio Pavilion". On the program – Georgian traditional choral music and "Liturgy" for Solo Viola and Symphony orchestra by Giya Kancheli, dedicated to Givi Orjonikidze will be performed

December 4

10:00-13:00 – Scientific Session

14:30 – Visit to the old capital of Georgia, Mtskheta

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

რუსუდან წურწუმია – საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი

მარიკა ნადარეიშვილი – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი

მარინა ქავთარაძე – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი

ქეთევან ბაქრაძე – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გამომცემლობის ხელმძღვანელი

თეონა ლომსაძე – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი

მაია კაჭკაჭიშვილი – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი

მარიამ პოლტახიენტი – გრაფიკოს - დიზაინერი

CONFERENCE ORGANIZING TEAM:

RUSUDAN TSURTSUMIA – Head of the Organizing Team, Director of the International Research Centre for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire

MARIKA NADAREISHVILI – Head of the Research Department of Tbilisi State Conservatoire

MARINA KAVTARADZE – Head of the Music History Direction of Tbilisi State Conservatoire

KETEVAN BAKRADZE – Head of the Publishing House of Tbilisi State Conservatoire

TEONA LOMSADZE – Specialist at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire

MAIA KACHKACHISHVILI – Specialist at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire

MARIAM POLTAKHIENTI – Graphic Designer

მონაწილეები

აშშ
იზალი ზემცოვსკი

დიდი ბრიტანეთი
ალექსანდერ დუგლასი
პატრიკ ჰუანგი

ესტონეთი
სილვია ლუიკი

პოლონეთი
მარცინ სტრჟელეცკი

რუსეთი
მარინა ნესტიევა

საქართველო
ქეთევან ბოლაშვილი
ნატალია ზუმბაძე
მანანა კორძაია
თეონა ლომსაძე
მარიკა ნადარეიშვილი
ნათია ნაცვლიშვილი
მაია სიგუა
მაგდა სუხიაშვილი
მარინა ქავთარაძე
გვანცა ღვინჯილია
ნანა შარიქაძე
თამარ წულუკიძე
რუსუდან წურწუმია

სლოვაკეთი
ვლადიმირ ფულკა

სომხეთი
სვეტლანა სარქისიანი

PARTICIPANTS

ARMENIA
Svetlana Sarkisyan

ESTONIA
Silvia Luik

GEORGIA
Ketevan Bolashvili
Natalia Zumbadze
Manana Kordzaia
Teona Lomsadze
Marika Nadareishvili
Natia Natsvlishvili
Maia Sigua
Magda Sukhiashvili
Marina Kavtaradze
Gvantsa Gvinjilia
Nana Sharikadze
Tamar Tsulukidze
Rusudan Tsurtsumia

POLAND
Marcin Strzelecki

RUSSIA
Marina Nestieva

SLOVAKIA
Vladimir Fulka

UK
Alexander Douglas
Patrick Huang

USA
Izaly Zemtsovsky

ქეთევან ბოლაშვილი
KETEVAN BOLASHVILI

საქართველო
GEORGIA

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1987), 1991 წელს დაამთავრა ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის (მოსკოვი, რუსეთი) ასპირანტურა და იქვე დაიცვა დისერტაცია (1994). იგი მრავალი სამეცნიერო სტატიისა და წიგნის ავტორია, მათ შორისაა: „XX საუკუნის მუსიკის ისტორია. ლექციები“ (2011), „XX საუკუნის მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი“ (თანაავტორი ქეთევან ჭიტაძე) (2017), „ბაროკოს ეპოქის მუსიკა: ისტორიისა და თეორიის საკითხები“ (2018). სისტემატურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. იყო რადიოგადაცემების ციკლის „XX საუკუნე – მუსიკა და მუსიკოსები“ თანაავტორი (გადაიცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს მიერ).
ქეთევან ბოლაშვილი არის დირექტორი ყოველწლიური ფესტივალის – „თბილისი. თანამედროვე მუსიკის საღამოები“.

არნოლდ შონბერგი უფროსი თანამედროვეების შესახებ (შონბერგის „სტილი და აზრის“ მიხედვით)

მოხსენების იდეა ამოზრდილია გივი ორჯონიკიძის სამეცნიერო პოზიციიდან: ეროვნული მუსიკის ადეკვატური კრიტერიუმებით შეფასებისა და შესწავლისთვის აუცილებელია მისი ადგილისა და როლის გააზრება მსოფლიო მუსიკის კონტექსტში. მოხსენების სტიმული კი გახდა გივი ორჯონიკის მიერ მისი პირადი ბიბლიოთეკიდან ჩემთვის ნაჩუქარი წიგნი – არნოლდ შონბერგის „სტილი და აზრი.“
ვინიდან გივი ორჯონიკიძის კვლევის ერთ-ერთი ობიექტი რიხარდ შტრაუსი იყო, ამიტომაც მოხსენებაში შემოვიფარგლები შტრაუსისა და მისი ეპოქის კომპოზიტორების შესახებ შონბერგის შეხედულებათა ანალიზით; იმით, თუ როგორ აფასებს რედიკალურ რეფორმატორად აღიარებული კომპოზიტორი და თეორეტიკოსი თავის უფროს თანამედროვეებს – ბრამსს, მალერსა და შტრაუსს. უფრო ფართოდ – მოხსენება ეძღვნება „ახალი მუსიკის“ დაბადების კონტექსტს.

PhD in Art studies and Professor of the Composition and Musicology Department of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. Graduated from Tbilisi State Conservatoire (in 1987). In 1991 completed post-graduate course at the National Institute for the Study of Arts (Moscow, Russia) and received Ph.D. at the same Institute in 1994. She is the author of many scientific articles and books including "History of the 20th Century Music. Lectures" (2011), "Analysis Of the 20th Century Music" (co-author with Ketevan Chitadze) (2017), "Music in Baroque Era: Historical and Theoretical Issues" (2018). Actively participates in conferences in Georgia and abroad. Was the co-author of Radio program cycle "20th Century – Music and Musician" on Georgian Public Radio. Ketevan Bolashvili is director of the annual Festival "Tbilisi. Contemporary Music Evenings".

ARNOLD SCHOENBERG ABOUT HIS SENIOR CONTEMPORARIES (BASED ON SCHOENBERG'S "STYLE AND IDEA")

The idea of this article is grounded on Givi Orjonikidze's scientific attitudes: to develop adequate criteria for the study and evaluation of National Music, it is necessary to comprehend it in the context of Western Culture, and only this way it will be given its true place and role. Another reason for writing this article is a gift from Givi Orjonikidze's personal library - Arnold Schoenberg's book "Style and Idea".

Since one of the research objects for Orjonikidze was Richard Strauss, in my article I limit the analysis to Arnold Schoenberg's position about Strauss and other composers of his generation, namely how the composer and theoretician, who was recognized as a radical reformer, values his senior contemporaries – Brahms, Mahler and Strauss. More generally, the article focuses on the context of the birth of "New Music".

ალექსანდერ დუგლასი
ALEXANDER DOUGLAS

დიდი ბრიტანეთი
UK

ფილოსოფიის დოქტორობის კანდიდატი, ვოლვერჰემფტონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი. ლონდონის თეოლოგიის სკოლის პედაგოგი. *ეიდიემ* (ADM) *პროდაქშენზის* სამხატვრო ხელმძღვანელი; ფსიქიკური ჯანმრთელობის მკვლევარი/აქტივისტი.

მუსიკალური ესთეტიკის ხელახალი გააზრება: თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების დეკოლონიური და პოსტკოლონიური პერსპექტივები

ფილოსოფიური ესთეტიკის ისტორია უპირველესად უკავშირდება „გამოცდილებასა“ და „განსჯას“, რასაც სჭირდება „ღირებულებათა“ განსაზღვრა და სიტყვებით ახსნა (ფილოსოფიის ეს სახე საკმაოდ ძველია; ჯერ კიდევ კანტი იწყებს ესთეტიკურ ობიექტთა არსის კრიტიკულ ძიებასა და მათ შესახებ ცნობების კვლევას). თუმცა, მსგავსად ტრადიციული მუსიკოლოგიისა, დასავლური ესთეტიკის ღირებულებები, ჩვეულებრივ, უფრო მეტად „მუსიცირების“ ბურჟუაზიულ ფორმებს ემხრობა.
მოხსენებაში განხილულია ჰიბრიდული კავშირი ეთნომუსიკოლოგიასა და ფილოსოფიურ მუსიკალურ ესთეტიკას შორის, რასაც საფუძვლად უდევს ლინგვისტური ანთროპოლოგიისა და ფილოსოფიის მონაცემები. კვლევის დროს ვხელმძღვანელობთ იმ დებულებით, რომ მუსიკა უფრო კულტურაა, ვიდრე „რაღაც“ — კულტურაში; შემოთავაზებული გვაქვს დეკოლონიური და პოსტკოლონიური ჰერმენევტიკის ახსნისა და შედარების მცდელობა, და ვასაბუთებთ, რომ ეს ანალიტიკური ჩარჩოები არა მხოლოდ არადასავლური მუსიკის კვლევისთვისაა საჭირო; თავად თანამედროვე მუსიკალური ხელოვნება დაუყოვნებლივაა შესასწავლი, რათა გაფართოვდეს კვლევის ჩარჩოები. დასავლური მუსიკალური ხელოვნების ტრადიციისადმი ასეთი მიდგომის პოტენციური მნიშვნელობის სადემონსტრაციოდ მოხსენებაში წარმოდგენილია კორნელიუს კარდუსა და ჯორჯ ლუისის ორი (ძალიან) მოკლე თემატური კვლევა.
ეთნომუსიკოლოგია არის ერთ-ერთი მკაფიო პასუხი იმ ინტელექტუალური იმპერიალიზმის მიმართ, რომელიც მუსიკოლოგიაში არსებობს; ანთროპოლოგიური ვალენტობის უფრო მაღალ ზღვარზე ეს დისციპლინა მრავალფეროვანი გარდაქმნების პოტენციალს შეიცავს.

PhD candidate in Philosophy, University of Wolverhampton, UK. Visiting Lecturer at the London School of Theology. Artistic Director of ADM Productions. Mental health researcher/activist.

RETHINKING MUSICAL AESTHETICS: POST-COLONIAL AND DECOLONIAL PERSPECTIVES ON CONTEMPORARY ART MUSIC

The history of philosophical aesthetics has tended to be primarily concerned with "experience" and "judgement" which require "values" to be determined and articulated (although this mode of philosophy goes back earlier, it is Kant who starts the process of a certain sort of critical enquiry within and about aesthetic objects). However, Western aesthetic values have traditionally favoured more intrinsically bourgeois forms of "musicking", as has traditional musicology.

This paper will argue for the importance of a hybrid engagement between ethnomusicology and philosophical musical aesthetics informed by questions/issues from both linguistic anthropology and philosophy of language. Working from the position that music *is* culture rather than merely found *within* culture, it will endeavour to explicate and contrast post-colonial and decolonial hermeneutic perspectives, arguing that it is not just in non-Western music research that these analytical frameworks are needed; contemporary art music itself is in desperate need of research activity that widen the frames of enquiry. Two (very) brief case studies — Cornelius Cardew and George Lewis — will be used to demonstrate the potential importance of such approaches to the Western art music tradition.

Ethnomusicology is one response to intellectual imperialism within musicology; a higher threshold of anthropological valency within aesthetics would potentially transform the discipline in many much-needed ways.

იზალი ზემცოვსკი
IZALY ZEMTSOVSKY

აშშ
USA

დოქტორი, ფოლკლორისტი და ეთნომუსიკოლოგი. მისი კვლევის სფეროებია: მუსიკა და ეთნოგენეზი; მუსიკა, როგორც ისტორია მუსიკის ისტორიის წინააღმდეგ; სმენის ანთროპოლოგია, ფოლკლორი და გეოგრაფია; ზეპირი პოლიფონია; აგრეთვე, ახალი სფერო – „მუსიკალური არსებობის ანთროპოლოგია“.
არის რუსეთის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი (1964). 1994 წლიდან ცხოვრობს აშშ-ში, არის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ასწავლიდა ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში.
1997 წელს მიენიჭა ივანპ კუნსტის პრიზი ეთნომუსიკოლოგიაში, პროფესორის წოდება ბერკლის უნივერსიტეტში, ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის ბრიტინგემის სტიპენდია (2000) და ფუმიო კოიცუმის პრიზი ეთნომუსიკოლოგიაში (2011). არის მრავალი საზოგადოებისა და საბჭოს წევრი, თბილისის კონსერვატორიის საპატიო პროფესორი (2006). შესულია საერთაშორისო ენციკლოპედიებში, ამერიკის ბიბლიოგრაფიულმა საზოგადოებამ 2006 წელს მას *XXI საუკუნის უდიდესი გონების* ტიტული მიანიჭა. არის მრავალი წიგნისა და 550-ზე მეტი სტატიის ავტორი.

პიროვნების როლი „მუსიკალურ არსებობაში“

მოხსენების საფუძველია გივი ორჯონიკიძის კონცეფცია „ადამიანი, რომელიც მუზიცირებს, უბრალოდ არ გვიყვება და არ გვაუწყებს. იგი ყველაფერს მუსიკის პრიზმაში ხედავს. ის, თითქოს ფიზიკური დროიდან გადადის მხატვრულ დროში, რომელსაც თავისი კანონები აქვს“. ავტორის აზრით, დეკარტეს ცნობილი cogito ergo sum-ის მისეული ინტერპრეტაცია – **„მე ასე ვფიქრობ და ვგრძნობ, მაშასადამე, მე ასეთი ვარ“** – ინდივიდის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორჯონიკიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ იდეად წარმოაჩენს.
ავტორი განავრცობს ამ იდეას და გვთავაზობს „მუსიკალური არსებობის“ საკუთარ კონცეფციას, რომელსაც „მუსიკალური არსებობის ანთროპოლოგიას“ უწოდებს და რომლის ცენტრში მუსიკოსი-ინდივიდი დგას.

Dr., folklorist and ethnomusicologist. Scholarly interests: music and ethnogenesis; music as history vs. history of music; folklore and geography, a new subject called by him "Anthropology of musical existence" etc. M.A. in ethnomusicology and composition (St. Petersburg Conservatory), Ph.D. in ethno-musicology (1964, the Russian State Institute of Theater, Music, and Cinematography). Worked at the Russian Institute for the History of the Arts (1960–1996, St. Petersburg). Was a visiting professor at UCLA, UW Madison, UC Berkeley, and Stanford (USA). Founding Board Director of the Silk Road House (Since 2006) in California. Is awarded the Koizumi Prize for Ethnomusicology (2011). Member of numerous world societies and councils, Honorary Professor at Tbilisi State Conservatoire (2006). Listed in the *New Grove Dictionary of Music and Musicians*, 2nd Edition (Vol. 27, 2001), is the author of a score of books and more than 550 articles published in different languages. Two festschrifts have been published in his honor.

ON THE ROLE OF PERSONALITY IN MUSICAL EXISTENCE

The starting point of the paper is Givi Orjonikidze's c concept "A man who is involved in music-making does not only tell, narrate, he sees everything through the prism of music. He, as if, moves from physical time to artistic time, which has its own laws." According to the author Givi Orjonikidze's own interpretation – **I think and feel this way, therefore I am like that** – of Descartes' well-known *cogito ergo sum* **"I think, therefore I am"** presents particular importance of an individual as the main idea of Orjonikidze's life and creative work.
The author expands the idea and offers his own concept of "musical existence", which he calls "anthropology of musical existence" with a musician-individual in the centre.

ნატალია ზუმბაძე
NATALIA ZUMBADZE

საქართველო
GEORGIA

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მეცნიერთანამშრომელი; ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამზეს“ თანადამაარსებელი და წევრი, კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი; ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი, 60-ზე მეტი საველე ექსპედიციისა და ჩაწერისა ხელმძღვანელი და მონაწილე, საქართველოში და საზღვარგარეთ მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. არის 50-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი ქართველ ქალთა ტრადიციული რეპერტუარის, ქართული ხალხური მუსიკის მრავალხმიანობის, სწავლების მეთოდებისა და შემსრულებლობის, ქართულ-ჩრდილოეთ კავკასიური სამუსიკო პარალელებისა და სხვ. შესახებ; არაერთი ეთნომუსიკოლოგიური კონფერენციისა და ტრადიციული მუსიკის კონცერტების ავტორი და ხელმძღვანელი. გამოცდილია ქართული ხალხური მუსიკის უცხოელთათვის სწავლებაში.

გივი ორჯონიკიძისეული ეროვნულობა მუსიკაში და ქართული ხალხური სიმღერა

გივი ორჯონიკიძის ნააზრევი ქართული სამუსიკო ფოლკლორის სფეროში საგანგებო შესწავლას, სათანადო შეფასებასა და დაფასებას იმსახურებს. ძნელია დაასახელო სხვა მუსიკისმცოდნე, რომელიც ასე ღრმად სწვდება ფოლკლორული პრობლემის არსს და, ამავე დროს, ასე ფართოდ მოიცავს მას, ასე სწორად აფასებს არსებულ ვითარებას და ხედავს მისი შეცვლის გზებს.

მოხსენება ეხმაურება მეცნიერის მიერ განხილული საკითხებიდან ერთ-ერთს – ეროვნულობას კულტურაში. ნაშრომში შესწავლილია „ქართული მუსიკის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის სათავე“ – ხალხური სიმღერა, კერძოდ, მისი ის თვისებები, რომლებიც ქართულის სპეციფიკურობას განაპირობებს. ცენტრალური ადგილი ეთმობა მრავალხმიანობას, როგორც ქართული სიმღერის ორიგინალურობის მთავარ არგუმენტს.

Ethnomusicologist, PhD in Art studies, Professor. Head of Georgian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire, a scientific worker of the Folklore State Centre of Georgia. Co-founder and a member of women's folk ensemble Mzetamze, founder and director of the Conservatoire student folk ensemble; Winner of National Folklore Prize. Leader and participant of over 60 field expeditions and recording sessions. Has participated in many international conferences and symposia in and outside Georgia. Is the author of over 50 scientific publications on Georgian women's traditional repertoire, polyphony of Georgian folk music, its performance and teaching methods; Georgian – North Caucasian musical parallels, etc. The author and leader of ethnomusicological conferences and concerts of traditional music. Is experienced in teaching Georgian folk music to foreigners.

GIVI ORJONIKIDZE'S "NATIONAL" IN MUSIC AND GEORGIAN FOLK SONG

Givi Orjonikidze's thoughts on Georgian folk music deserve special study, proper estimation and appreciation. There is hardly any other musicologist who has such a deep understanding of the essence of folk problem, at the same time, who covers it so widely, properly assesses current situation and sees the ways to change it.

The paper echoes one of the issues discussed by the scholar – notational character in culture. The paper studies the "source of originality and national independence of Georgian music" – folk song, in particular, its features, determining specificity of the Georgian. Central place is allocated to polyphony, as the chief argument for the originality of Georgian song.

მანანა კორძაია
MANANA KORDZAIA

საქართველო
GEORGIA

მუსიკოლოგი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობს თბილისის ცენტრალურ სამუსიკო გიმნაზიაში („ნიჭიერთა ათწლედი“) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (დააფუძნა მუსიკალური ჟურნალისტიკის მიმართულება), ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში; ასევე, მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმსა“ და რუსთაველის თეატრში მუსიკალურ გამფორმებლად და კონსულტანტად.
ავტორია წიგნებისა: „ალექსი მაჭავარიანი – შემოქმედი და დრო“ (ინგლისურ ენაზე, 2013; გერმანულ ენაზე, 2015), „ქართული საგანძური: კინომუსიკა“ (2012), ბროშურებისა და ბუკლეტების: „ევგენი მიქელაძე“, „იაშვილების ოჯახი“ და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც ადგილობრივ, ისე ყოფილ საბჭოთა ცენტრალურ ჟურნალებში; არის არაერთი წიგნისა თუ კრებულის რედაქტორი; მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ინტონაციურ – ტემბრული პარადიგმები და რემინისცენციები, როგორც გია ყანჩელის შემოქმედების მედიტაციური საფუძველი

დღეს, ყანჩელის შემოქმედების მეტ-ნაკლებად სრული სურათის ანალიზისას, ნათელი ხდება, რომ მისი მუსიკა ერთი მთლიანი მრავალწახნაგოვანი აისბერგია, სადაც სიმღერის ჟანრი, კინო-სათეატრო და ე.წ. აკადემიური მუსიკა ისე მჭიდროდაა გადახლართული ერთმანეთში, რომ ძნელია მათი განცალკევება და დამოუკიდებელი ჟანრების სახით წარმოჩენა. ამ ერთიანობის საფუძველი კი თემატური პარადიგმებია, ანუ თემა-პარადიგმა, როგორც წინააღმდეგობრივი არსის მატარებელი ნიმუში და რემინისცენცია, როგორც მისი განვითარებისა და სახეცვლის ამოუწურავი საშუალება. შედეგად, სხვა ჟანრიდან მოსული უკვე ცნობილი თემა-ინტონაცია ახალი კონტექსტუალური დატვირთვითა და ახალ ტემბრულ გარემოში გააზრებით სრულიად განსხვავებულ, არა ციტატურ, არამედ ინდივიდუალურ არსობრივ-სახეობრივ მოვლენად ყალიბდება.
მოხსენების მიზანი სწორედ ამ პროცესის ანალიზი და მასზე მსჯელობაა, რაც, თავის მხრივ, ახალ პერსპექტივას შექმნის გია ყანჩელის რთული და მრავალპლანიანი შემოქმედების შესწავლის შემდგომი ეტაპისათვის.

Musicologist, graduated from Tbilisi State Conservatoire and Tbilisi State University. Works at Tbilisi Central School of Music and Ilia State University. Worked at Tbilisi State Conservatoire (founded Direction of Music Journalism), Batumi Art University; at the "Georgian Film" Studio and Rustaveli Theatre as a designer and consultant.
Is author of the books: "Aleksi Machavariani – 'Creator and Time" (in English, 2013; in German, 2015), "Georgian Treasure: Cinema Music" (2012), brochures and booklets: "Evgeni Mikeladze", "The Iashvili family", etc.; author of the publications in local and central journals of the Soviet Union; editor of a number of books and collections; participated in scientific conferences in Georgia and elsewhere.

INTONATION - TIMBRE PARADIGMS AND REMINISCENCES AS MEDITATION BASIS OF GIYA KANCHELI'S WORK

Today, a more or less complete picture analysis of Kancheli's work reveals that his music is one whole multi-faceted iceberg, where the song genre for movie and theater and the so-called academic music are so intertwined, that it is difficult to separate them and present as independent genres. This unity bases on thematic paradigms or a theme-paradigm – an example of contradictory essence and reminiscence, an inexhaustible means of its development and modification. This results in the formation of a well-known theme-intonation introduced from another genre with new contextual function and its interpretation in a new timbre environment not as a quotation phenomenon, but as the one with individual essence and variety.
The paper deals with and discusses the analysis of this process, which, in its turn, will create a new perspective for the next phase in the study of Kancheli's complex and multifaceted creations.

PARTICIPANTS
მონაწილეები

თეონა ლომსაძე
TEONA LOMSADZE

საქართველო
GEORGIA

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი; ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი; საქართველოს რეგიონული წარმომადგენელი ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოში (ICTM). განხორციელებული აქვს კვლევითი ვიზიტები მანჩესტერის უნივერსიტეტში, ლონდონის სამეფო კოლეჯში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში (CUNY), ილინოისის უნივერსიტეტსა (2018) და ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიაში (2017). გაცვლითი სტუდენტის სტატუსით სწავლობდა ავეიროს უნივერსიტეტსა (პორტუგალია, 2019) და ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიაში (2016); იყო გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ლექტორი (2014-2015); გამოქვეყნებული აქვს სტატიები ქართულ და უცხოურ ჟურნალებსა და კრებულებში; მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

პანელი: ჯაზი პოსტსაბჭოთა სივრცეში: საქართველოსა და ესტონეთის მაგალითზე

ქართული ეთნოჯაზის განვითარების ერთსაუკუნოვანი გზა: ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პერსპექტივიდან

ქართული ეთნოჯაზის – ქართული ტრადიციული მუსიკისა და დასავლური ჯაზის ამ სინთეზური ფორმის საფუძვლები თითქმის ერთი საუკუნის წინ ჩაისახა. ჩვენამდე მოღწეული მისი პირველი ჩანაწერები დღესაც პოპულარული მუსიკის საბჭოური პროტოტიპის, საესტრადო მუსიკის ნიმუშებად აღიქმება. თავად ტერმინი ეთნოჯაზი უკვე მრავალი წელია ამ სფეროში მოღვაწე ქართველი მუსიკოსების თვითიდენტიფიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რაც მას ამ მუსიკალური მიმართულების ლეგიტიმურ სახელწოდებად აქცევს.
ჩემი მოხსენების მიზანია, ქართული ეთნოჯაზის ევოლუციის პროცესი წარმოვადგინო ერთგვარ ისტორიულ-ლინეალურ ჭრილში მისი ჩასახვიდან დღემდე და განვიხილო იგი სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ კონტექსტში, რამაც უშუალოდ განსაზღვრა ამ მუსიკალური მიმართულების განვითარების გზა. კვლევა ეყრდნობა ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვან პუბლიცისტურ თუ სამეცნიერო ნაშრომებს, ტელე-რადიო და ინტერნეტსივრცეში გაბნეულ მასალას და საკუთარ ინტერვიუებს ეთნოჯაზის ქართველ შემსრულებლებთან.

Doctoral student in ethnomusicology at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire; Master of Arts in ethnomusicology (graduated from Tbilisi State Conservatoire in 2014, Bachelor - in 2012). Is a specialist at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire; Liaison officer for Georgia at ICTM (International Council for Traditional Music); a member of ICTM and ESEM. Had research visits to the University of Manchester, King's college of London, City University of New York, University of Illinois (2018) and Estonian Academy of Music and Theater (2017); was Erasmus+ exchange student at the University of Aveiro, Portugal (2019) and Estonian Academy of Music and Theater, Tallinn (2016); former lecturer at S. Tsintsadze Gori College of Music (2014-2015); participant of many international conferences; author of articles published in international peer-reviewed journals.

Panel Presentation: Jazz in post-Soviet States: on Georgian and Estonian Cases

A CENTURY-LONG PATH OF GEORGIAN ETHNO-JAZZ DEVELOPMENT: FROM HISTORICAL, SOCIO-POLITICAL AND CULTURAL PERSPECTIVES

Georgian ethno-jazz – mixture of Georgian traditional music and western jazz – originated almost a century ago. First surviving recordings are still considered a part of *Estrada* music – Soviet prototype of popular music. The term ethno-jazz itself represents the most common form for the self-identification of Georgian musicians in this field and thus, is the most legitimate notion of the above-mentioned music style.

The paper aims to demonstrate Georgian ethno-jazz evolution in historical-lineal scope and to discuss this process in socio-political and cultural context, what significantly affected the development of Georgian ethno-jazz. The research is based on scientific and popular literature in Georgian, English and Russian, the media and internet-based data as well as my own interviews recorded from Georgian ethno-jazz performers.

სილვია ლუიკი
SILVIA LUIK

ესტონეთი
ESTONIA

ხელოვნების მაგისტრობის კანდიდატი მუსიკოლოგიაში ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიაში; აქვე მიიღო ბაკალავრის ხარისხი. მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროა ჯაზის, საბჭოთა ისტორიის, ესტონეთის ისტორიისა და ჯაზის განათლების საკითხები. ჯაზისა და მსოფლიო მუსიკის მიმართ ინტერესის გამო ის გაცვლითი პროგრამით ერაზმუს+ ორჯერ ეწვია ესპანეთს: Musikene-სა (ბასკეთის უმაღლესი სამუსიკო ცენტრი) და სევილიის მანუელ კასტილიოს სახელობის კონსერვატორიას; იყო სტაჟირებაზე ესპანეთში ოიარტსუნის ბასკეთის მუსიკის ცენტრ Soinuenea-სა და სევილიის ფლამენკოს ცეკვის მუზეუმში. აქტიურად მოღვაწეობს მუსიკის ჟურნალისტიკის სფეროში ჯაზკაარის კონცერტებზე.

პანელი: ჯაზი პოსტ-საბჭოთა სივრცეში: საქართველოსა და ესტონეთის მაგალითზე

ჯაზი 1980-იანი და 1990-იანი წლების ესტონეთში ადგილობრივი ჯაზის მუსიკოსების მეხსიერებაში

ნაშრომის მიზანია 1980-იანი და 1990-იანი წლების ესტონეთში ჯაზური მუსიკის ცხოვრების მიმოხილვა იმ პერიოდის ადგილობრივი ჯაზის მუსიკოსების მოგონებათა საფუძველზე. ავტორი გვიანი სოციალიზმისა და ადრეული კაპიტალიზმის პერიოდის ესტონეთში ჯაზის კულტურის პრაქტიკულ მნიშვნელობას იკვლევს სამი ძირითადი ასპექტით: ჯაზზე ცოდნის (განათლება) მიღების შესაძლებლობები, ჯაზის პრაქტიკის მიღების შესაძლებლობები (ადგილები) და „რღვევის“ გამოცდილება, რაც რეჟიმის შეცვლასა და ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენას (1991 წლის, აგვისტო) მოჰყვა. მოხსენება აგებულია ემპირიულ მასალაზე, რომელიც შემონახულია ჯაზის იმ ადგილობრივ მუსიკოსთა მოგონებებში, რომლებიც მაშინ კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდნენ ან იწყებდნენ კარიერას.
ერთი მხრივ, ჩემი კვლევა ეფუძნება როგორც ესტონურ, ისე ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურას მეხსიერების თეორიაზე, მეორე მხრივ კი – საველე სამუშაოს, რეალიზებულს ჯაზის მუსიკოსების (როგორც შემსრულებლების და მსმენელების) ინტერვიუირებით.

MA candidate in Musicology at the Estonian Academy of Music and Theatre, where she also gained her BA. Her research activities intersect between jazz research, Soviet studies, cultural history, Estonian history and jazz education. Her interest in jazz and world music has taken her twice for exchange studies to Spain within Erasmus+ program: Musikene (Centro Superior de Música del País Vasco) and Conservatorio Superior de Música Manuel Castillo de Seville; for internships in Spain at Basque Music Centre Soinuenea in Oiartzun and at Flamenco Dance Museum in Seville. Is also actively involved, as a music journalist, in Jazzkaar concerts.

Panel Presentation: Jazz in Post-Soviet States: on Georgian and Estonian Cases

JAZZ IN ESTONIA IN THE 1980s AND 1990s THROUGH THE MEMORY OF LOCAL JAZZ MUSICIANS

The paper aims to give an overview of jazz music life in Estonia in the 1980s and 1990s through the memories of local jazz musicians of the time. The paper explores the meaning of the practice of jazz culture in late socialism and early capitalism in Estonia through three main topics: possibilities of gaining the knowledge of jazz (education), possibilities to practice jazz (venues) and the experiences of 'rupture' that was brought with the change of regime and restoration of independence of Estonia in August, 1991. The article is built on empirical examples of the memories of local jazz musicians who were at the top of their career or were starting it off.
My research is based, on the one hand, on Estonian as well as English scientific literature on theories of memory and, on the other hand, on the fieldwork realised by interviewing artists (as performers and as listeners) of jazz music.

მარიკა ნადარეიშვილი
MARIKA NADAREISHVILI

საქართველო
GEORGIA

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (დისერტაციის თემაა „ოსტინატოს ფორმები ევროპულ პროფესიულ მუსიკაში“, თბილისი, 1997), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. მიჰყავს თეორიული დისციპლინებისა და სპეციალობის კურსები სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე. მისი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება თანამედროვე მუსიკის ჰარმონიისა და ფორმის, საკომპოზიტორო ტექნიკის, სანოტო დამწერლობის პრობლემებს. არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის, სალექციო კურსებისა: „პოლიფონიის ისტორია“ (2007), „მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი“ (დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძესთან თანაავტორობით, 2012). სისტემატურად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. მიღებული აქვს DAAD-ის (2012), საქართველოს პრეზიდენტის (1997-2000) სტიპენდიები. არის კონსერვატორიის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის „მუსიკოლოგია და კულტუროლოგია“ რედაქტორის მოადგილე. სხვადასხვა წელს იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი (2008-2010), სასწავლო დეპარტამენტის უფროსი (2010-2013), სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი (2013-დან დღემდე).

თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკები ახალ ქართულ მუსიკაში

კვლევის საგანია XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მუსიკაში მიმდინარე ცვლილებები; კერძოდ, ამ პერიოდის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, ესთეტიკურ-სტილური ფენომენის – საბჭოთა ავანგარდის, უფრო ზუსტად კი, „ქართული მოდერნისა“ და პოსტსაბჭოთა პერიოდის კონტექსტში წარმოჩენილია სხვადასხვა თაობის ქართველ კომპოზიტორთა (ნ. მამისაშვილი, ფ. ღლონტი, გ. ყანჩელი, მ. შუღლიაშვილი, ნ. სვანიძე, ზ. ნადარეიშვილი, რ. კიკნაძე, ე. ჭაბაშვილი, მ. ვირსალაძე) მიერ თანამედროვე საკომპოზიციო ტექნიკების (ალეატორიკა, დოდეკაფონია, სონორისტიკა, მინიმალიზმი, პოლისტილისტიკა) გამოყენების განსხვავებული მიზეზები და ინტენსივობა.

Musicologist, PhD in Art studies, Associate Professor of the Music Theory Department at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire; leads theoretical courses and specialty on BA, MA and Doctoral levels. Her scientific interest is focused on the study of contemporary music harmony, analysis, polyphony, musical techniques and notation problems. She is the author of more than 30 scientific articles, the course of lectures including: "History of Polyphony" (2007), "Musical Form Analysis" (2012, co-author with D. Arutiunov-Jincharadze). She regularly participates in national and international conferences; received DAAD (2012) and Georgian President's (1997-2000) scholarships; is Deputy Editor-in-chief of the Conservatoire's Scientific Online Journal "Musicology and Cultural Science". At various times she was a Manager of Doctoral programs and Academic secretary of the Scientific Council (2008-2010), Head of Study Department (2010-2013), Head of Research Department (since 2013) at Tbilisi State Conservatoire.

CONTEMPORARY COMPOSITION TECHNIQUES IN NEW GEORGIAN MUSIC

The paper researches the changes in Georgian music in the second half of the 20th century. In particular, with the consideration of the cultural, socio-political specificity of the period. Various reasons and intensity of applying modern composition techniques (aleatory, dodecaphony, sonoristics, minimalism, polystylistics) by different generation Georgian composers (N. Mamisashvili, P. Ghlonti, G. Kancheli, M. Shughliashvili, N. Svanidze, Z. Nadareishvili, R. Kiknadze, E. Chabashvili, M. Virsaladze) are presented in the context of the aesthetic-stylistic phenomenon – Soviet avant-garde, more precisely "Georgian modern" and post-Soviet period.

ნათია ნაცვლიშვილი
NATIA NATSVLISHVILI

საქართველო
GEORGIA

ფილოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრი (თსუ), კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერთანამშრომელი. მონაწილეობდა არაერთი გამოცემის ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებში, ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიულ აღწერილობაზე და სხვ. მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, აქვეყნებს სტატიებს სხვადასხვა სამეცნიერო კრებულში. არის არაერთი წიგნის რედაქტორი.

აკაკი ჭანტურიასა და ვალენტინა კუფტინას მიმოწერა მუსიკალურ საკრავ *ლარჭემის* შესახებ

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია აკაკი ჭანტურიას არქივი, სადაც სხვადასხვა სახის მასალასთან ერთად ვხვდებით ამ მრავალმხრივ საინტერესო პიროვნების მიმოწერას მის თანამედროვეებთან. ერთ-ერთი ასეთი ადრესატია მუსიკოსი და მუსიკოლოგი ვალენტინა სტეშენკო-კუფტინა.
არქივში ინახება ჩვენთვის საყურადღებო საკითხთან დაკავშირებული 6 წერილი, სადაც საუბარია ლარჭემის შესახებ. ვალენტინა კუფტინას მიუმართავს საქართველოს მუზეუმისთვის, რათა დახმარებოდნენ ლარჭემის შესწავლისთვის საჭირო მასალების მოპოვებასა და ფოტოების გადაღებაში. სახელმწიფო მუზეუმმა კი მისწერა ზუგდიდის მუზეუმის დირექტორ აკაკი ჭანტურიას, რომ სათანადო დახმარება გაეწია მუსიკოსისთვის. აკაკი ჭანტურია დათანხმდა ამ წინადადებაზე, დაუკავშირდა მკვლევარს და თავადვე შესთავაზა ხსენებულ საკითხებზე ერთობლივი მუშაობის ფორმა. სთხოვა, ჩამოეწერა და გაეგზავნა ლარჭემთან დაკავშირებული კითხვები, რომლებზე პასუხებსაც, გულდასმით შესწავლის შემდეგ, გასცემდა წერილობითვე. მიმოწერიდან ირკვევა, რომ აკაკი ჭანტურია დიდი ყურადღებით ჩაღრმავებია ამ უძველესი ქართული მუსიკალური საკრავის ისტორიას, მოუძებნია ლარჭემზე დამკვრელი — ვიწი ფიფია, გადაუღია შესაბამისი ფოტომასალა და გადაუგზავნია ვალენტინა კუფტინასთვის. ამ უკანასკნელმა კი, აკაკი ჭანტურიას მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, შეისწავლა ეს მრავალხმიანი მუსიკალური საკრავი და დაწერა ვრცელი მონოგრაფია. სტატიაში საუბარია ამ მიმოწერისა და ლარჭემის შესახებ.

Master of Philological Sciences (TSU), scientific worker at Codicology and Textology Department of K. Kekeledze Georgian National Centre of Manuscripts. Has participated in the bibliographical works for a number of publications, codicological-archeographic descriptions of manuscripts, etc. Takes part in national and international conferences and symposia; publishes articles in various scientific collections, is the editor of a number of books.

THE CORRESPONDENCE BETWEEN AKAKI CHANTURIA AND VALENTINA KUFTINA ABOUT MUSICAL INSTRUMENT *LARCHEMI*

Along with different interesting material Akaki Chanturia's archive, preserved at Georgian National Centre of Manuscripts, also holds the correspondence of this versatile interesting person with his contemporaries. One such addressee is Valentina Steshenko-Kuftina – a musician and musicologist.

The archive contains 6 letters of interest to us, writing about *larchemi*. Valentina Kuftina appealed to the Museum of Georgia for help in obtaining the materials needed for her study and taking photos. The Museum wrote to Akaki Chanturia – director of Zugdidi Museum, to provide proper help to the musician. Akaki Chanturia agreed, contacted the scholar and offered joint work on the issue. He asked her to write down the questions concerning *larchemi* and send to him; he would carefully study them and send the answers in written form. From the correspondence we learn that Chanturia really delved into the history of this ancient Georgian musical instrument, he found a certain Vitsi Pipia – a *larchemi* player, took photos and sent the relevant photo material to Valentina Kuftina. The latter, studied the panpipe basing on Chanturia's material and wrote an extensive monograph. The paper deals with this correspondence and *larchemi.*

მარინა ნესტიევა
MARINA NESTIEVA

რუსეთი
RUSSIA

მუსიკოლოგი, მკვლევარი, ჟურნალისტი, რედაქტორი. ჟურნალ „მუზიკალნაია აკადემიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1962 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი. მისი კვლევის ძირითადი სფერო სერგეი პროკოფიევის ცხოვრება და შემოქმედებაა. არის არაერთი წიგნისა და მრავალი სტატიის ავტორი. მუშაობდა ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკაში“ უფროს რედაქტორად, განყოფილების გამგედ.

მისი უნიკალობა მის უნივერსალობაშია

მოხსენებაში განხილულია გივი ორჯონიკიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი იყო ჭეშმარიტი ჰუმანიტარი, რომელმაც თავისი შრომებით გაამდიდრა არამარტო ქართული მეცნიერება. მისი ნაშრომების ფართო სპექტრი სამაგალითო უნდა იყოს ახალგაზრდა თაობისათვის. დასანანია, რომ გივი ორჯონიკიძეს დაუმთავრებელი დარჩა შესანიშნავი ნაშრომი რიხარდ შტრაუსზე და ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა მის მოსაწესრიგებლად.
ავტორი ორჯონიკიძეს მუსიკალურ მწერალს უწოდებს, რომელსაც შეეძლო სახიერი წერის მანერით მკითხველისათვის ეგრძნობინებინა მუსიკის რეალური ჟღერადობა. ეს უნარი განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამოვლინდა მუსიკალური თეატრისადმი მიძღვნილ სტატიებში. მოხსენებაში, ასევე, აღნიშნულია გივი ორჯონიკიძის წვლილი 1960-იანი წლების თაობის ქართველ კომპოზიტორთა მუსიკის პროპაგანდაში, 1980-იანი წლების დასაწყისის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმატებებში.
მოხსენების ბოლოს ავტორი გვიზიარებს მოგონებებს გივი ორჯონიკიძისა და გამოჩენილი რუსი მუსიკოლოგის იზრაელ ნესტიევის ოჯახის მეგობრობაზე.

PhD in musicology, researcher, journalist, editor. An Editorial board member of the journal "Muzikalnaya akademiya". In 1962 graduated from Theory-Composition Faculty of Moscow State Conservatoire. Key area of her research is the life and work of Prokofiev. She is the author of a number of books and numerous articles. Worked for the journal "Sovetskaya muzika" as senior editor and head of department.

HIS UNIQUENESS LIES IN HIS UNIVERSALITY

The paper discusses different aspects of Givi Orjonikidze's multilateral activity. Highlights that he was a true humanitarian, whose works enriched not only Georgian science, and wide range of which must serve as an example for young generation; the author regrets that Givi Orjonikidze left unfinished the novel about Richard Strauss, and that nothing has been done so far to put it in order. The author refers to Givi Orjonikidze as music writer, whose lively manner of writing made readers feel real sound of music. This ability was especially vividly manifested in his articles dedicated to musical theater. The paper also notes Givi Orjonikidze's merit in the promotion of Georgian composers' music of the 1960s, success of Tbilisi Opera and Ballet Theatre of the early 1980s.
At the end of the paper the author shares her recollections about Givi Orjonikidze's friendship with the well-known Russian musicologist Izrail Nestiev and his family.

სვეტლანა სარქისიანი
SVETLANA SARKISYAN

სომხეთი
ARMENIA

ჰაბილიტირებული დოქტორი, ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის პროფესორი. არის ავტორი წიგნებისა: „თანამედროვე სომხური მუსიკის პრობლემები“ (ერევანი, 1984); „სომხური მუსიკა XX საუკუნის კონტექსტში“, კვლევა. (მოსკოვი, 2002); „სომხური მუსიკა და სომეხი კომპოზიტორები“. (ლონდონი-ერევანი, 2004); „არამ ხაჩატურიანი“, ცნობარი. (ერევანი 2004); „საუკუნეების ზღვარზე. მუსიკა და მისი სფეროები“, (მოსკოვი, 2014); ასევე, სომხურ, რუსულ, უკრაინულ, ქართულ, პოლონურ, ბულგარულ, უნგრულ, ბრიტანულ, გერმანულ, ხორვატულ, ჩეხურ კრებულებში, ჟურნალებსა და ლექსიკონებში დაბეჭდილი 500-მდე სამეცნიერო სტატიისა.

ტიგრან მანსურიანი: რეკვიემი, როგორც კონცეფცია და როგორც ჟანრი

გამოკვლევა უპირველეს ყოვლისა ეხება სომხეთის წამყვან თანამედროვე კომპოზიტორს ტიგრან მანსურიანს (დაბ. 1939). სწორედ მისმა შემოქმედებამ გვიკარნახა კვლევის ძირითადი რაკურსი — რეკვიემი სოლისტების, შერეული კამერული გუნდისა და სიმებიანი ორკესტრისათვის — ორ შესაძლო კონტექსტში: 1) როგორც ნანარმოების კონცეფცია და 2) როგორც სასულიერო მუსიკის ტრადიციული ჟანრი. მანსურიანის ნაწარმოების ანალიზი მიზნად ისახავს გაარკვიოს დასავლური ქრისტიანული ღვთისმსახურების კომპოზიტორისეული ხედვა. კომპოზიტორი იყენებს რვა ორთოდოქსულ ნაწილს შემდეგი თანმიმდევრობით: Requiem aeternam, Kyrie, Dies irae, Tuba mirum, Lacrimosa, Domine Jesu Christe, Sanctus, Agnus Dei. ამავე დროს, კომპოზიტორისეული ხედვის უნიკალურობა განპირობებულია მისი ეროვნული მენტალიტეტით; იგი გაიზარდა სომხური ეკლესიის ტრადიციებსა და ზოგადად შუასაუკუნეების მონოდიურ მუსიკაზე, რამაც გავლენა მოახდინა ლიტურგიის მთლიან მელოდიურ კონცეფციაზე.
მუსიკის მახასიათებლების გამოსავლენად მანსურიანის რეკვიემი განხილულია მისი ა) ჟანრული, ბ) სტილისტიკური, გ) კომპოზიციურ-დრამატურგიული სპეციფიკის, დ) კულტურათა გადაკვეთის პერსპექტივის თვალსაზრისით.

Dr. Hab. Svetlana Sarkisyan has been Professor of Music Theory Chair at Yerevan State Conservatory. Author of books: *Problems of Contemporary Armenian Music* (Yerevan, 1983); *Armenian Music in the Context of the 20th Century*. Research. (Moscow, 2002); *Armenian Music and Composers*. (London-Yerevan, 2004); *Aram Khachaturyan*, Reference Book. (Yerevan, 2004); *At the Boundary of Centuries Music and its Spheres.* (Moscow, 2014) and about of 500 scientific articles in Armenian, Russian, Ukrainian, Georgian, Polish, Bulgarian, Hungarian, British, German, Croatian, Czech collections, journals and dictionaries.

TIGRAN MANSURYAN: REQUIEM AS A CONCEPT AND GENRE

The subject of the research relates primarily to Tigran Mansuryan (b. 1939), a leading contemporary composer of Armenia. It is his creativity that prompted the key focus of the study — Requiem for soloists, mixed chamber choir and string orchestra — in two possible contexts: 1) as the concept of work, and 2) as the traditional genre of sacred music. The analysis of Mansuryan's work aims to identify the composer's personal vision in the interpretation of West Christian Liturgy. The composer uses eight orthodox parts sequenced as follows: Requiem aeternam, Kyrie, Dies irae, Tuba mirum, Lacrimosa, Domine Jesu Christe, Sanctus, Agnus Dei. At the same time, the uniqueness of his vision is determined by the essence of the national mentality of the composer who grew up based on the traditions of the Armenian church and, in general, medieval monodic music which have influenced the overall melodic conception of the liturgy. For revealing the characteristic attribution of music, the Requiem by Mansuryan is examined from the perspective of the specifics of its: a) genre, b) stylistics, c) composition-dramaturgy, d) cross-culture.

მაია სიგუა
MAIA SIGUA

საქართველო
GEORGIA

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (2014), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ პროფესორი. მისი სამეცნიერო სტატიები დაბეჭდილია დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საქართველოში. პერიოდულად წერს სხვადასხვა ჟურნალისთვის, მონაწილეობს ტელე და რადიოგადაცემებში; ჩაატარა რამდენიმე საჯარო ლექცია საქართველოში და საზღვარგარეთ. მუშაობს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის ვებსაიტსა და გამოცემებზე. 2018 წელს მოიპოვა DAAD-რუსთაველის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამის სტიპენდია, რომლის ფარგლებშიც გერმანიაში, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში, პოსტსადოქტორო კვლევა განახორციელა. მიმდინარე სასწავლო სემესტრში ამავე უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორია.

ქართული სახე მსოფლიო ოპერაში – მედეა. საკითხის დასმისთვის

მედეა დღემდე რჩება ყველაზე „ცნობილ ქართველად“, რომელიც ორ ათასწლეულზე მეტია არ კარგავს აქტუალურობას როგორც ხელოვნებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო მისი სახის სირთულე და მრავალმხრივობა რეცეფციების ამოუწურავ შესაძლებლობას იძლევა. მედეა სცენაზე – არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი და მის შესახებ პუბლიკაციების რიცხვიც საკმაოდ დიდია. მაგრამ მედეა და მისი საოპერო სახეები, როგორც ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ცნობილია, საფუძვლიანი კვლევის თემა მუსიკოლოგიაში ჯერ არ გამხდარა. შედარებით თანმიმდევრულად ეს თემა წარმოდგენილია კლასიკური ფილოლოგიის ამერიკელი პროფესორის, მარიან მაკდონალდის ნაშრომებში. მან მედეას შესახებ და მედეას მონაწილეობით სამოცზე მეტი ოპერა დაითვალა. მოხსენების პირველ ნაწილში, მარიან ანდერსონის ნაშრომებზე დაყრდნობით მიმოხილული იქნება მედეას თემის გამოყენების ზოგადი შინაარსობრივი თავისებურებები ისტორიულ პერსპექტივაში, ხოლო მეორე ნაწილში შევეხები ქართველი კომპოზიტორების ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს.
მოხსენება წარმოადგენს არა იმდენად კვლევის შედეგს, რამდენადაც სამომავლოდ დაგეგმილი კვლევის ერთი ეტაპის ერთგვარ პრეზენტაციას.

PhD in Art studies (2014), Assistant Professor at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. Her scientific articles are published in the UK, USA, Georgia. She, periodically writes for different journals, participates in Television and Radio programs, has delivered several public lectures in Georgia and elsewhere. Works on the Web Site and publications of Tbilisi State Opera. In 2018 she won the DAAD-Rustaveli joint scholarship program, as part of which she carried out the post-Doctoral research at Goethe University, Frankfurt; is an invited lecturer of this University in current academic semester.

GEORGIAN IMAGE IN WORLD OPERA – MEDEA. TO POSE A QUESTION

Medea still remains the "most famous Georgian", who has not lost relevance for more than two millennia in both art and public life, the complexity and versatility of her image provides inexhaustible opportunity for receptions. Medea on the stage - has been the subject of numerous studies and the number of publications about her is also fairly large. But, as far as we know, Medea and her opera mages have not yet been the subject of extensive research in musicology. This issue is relatively consistently presented in the works of Marianne Mc Donald –an American professor of classical philology. She has counted over 60 operas about Medea and with her participation. First part of the paper discusses general content features of Medea theme from historical perspective, whilst the second part touches upon the works of Georgian composers on this theme.
The paper is a not the result of research, but is a sort of presentation of one stage of future research.

მარცინ სტრჟელეცკი
MARCIN STRZELECKI

პოლონეთი
POLAND

მუსიკის თეორეტიკოსი და კომპოზიტორი, მულტიმედიის მხატვარი და გიტარისტი. იგი ახორციელებს მუსიკის ემპირიულად ორიენტირებულ კვლევებს თანამედროვე ანალიტიკური საშუალებების, მათ შორის, ინფორმაციის მოწინავე ტექნიკის საშუალებებით დამუშავების გამოყენებით. პროფ. ტომაშევსკის ხელმძღვანელობით შესრულებული მისი სადოქტორო დისერტაციის მთავარი თემა იყო აკუსტიკური და ესთეტიკური კავშირი მუსიკის ჰარმონიასა და ხმის ტემბრს შორის. იგი ასწავლის როგორც ტრადიციულ საგნებს (კლასიკური ჰარმონია, რენესანსის კონტრაპუნქტი, ფორმის ანალიზი), ისე თანამედროვე საკომპოზიციო ტექნიკას, მულტიმედიურ საშუალებებს, ელექტრონულ მუსიკას. როგორც ჟურნალისტი წერს პოლემიკურ ნარკვევებს სამუსიკო ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობაზე.

კულტურის კონტექსტი, როგორც მეჭისლავ ტომაშევსკის მუსიკის თეორიის მთავარი თემა

XX საუკუნის მეორე ნახევარი ერთმანეთთან დაპირისპირებული კულტურული ძალების სარბიელი იყო. მუსიკალურ დისკურსში დომინირებული სამეცნიერო ნეოპოზიტივიზმი ამცირებდა საკვლევ თემებს და ისინი ტექნიკური და ფორმალური პრობლემების ვიწრო სფერომდე დაჰყავდა. ადამიანის კულტურის ფართო ჰუმანისტური პერსპექტივა განიხილებოდა როგორც შეუსაბამო. სამეცნიერო მსჯელობიდან გამოიდევნა ესთეტიკური და სულიერი ღირებულებები. გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში კომპოზიტორების ჯგუფმა მუსიკისმცოდნეებთან ერთად დაიწყო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ჰუმანისტური ფასეულობების აღდგენას თანამედროვე საკომპოზიტორო ხელოვნებაში. მათ შორის, ყველაზე ხანგრძლივი და თანმიმდევრული კონსტრუქცია შეიმუშავა პროფესორმა ტომაშევსკიმ. „კულტურის კონტექსტი“ გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტულატი მონუმენტურ ნაშრომში შოპენის, შიმანოვსკის, ლუტოსლავსკისა და პენდერეცკის მუსიკის შესახებ. მან შეიმუშავა მოდელი სახელწოდებით მუსიკის „ინტეგრალური ინტერპრეტაცია“, რომელიც პრაქტიკულად მოიცავს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების ყველა შესაძლო პერსპექტივას, მისი კონცეფციიდან – კულტურულ არეალში მიღებამდე. ტომაშევსკი ერთი წლის წინ გარდაიცვალა და დაგვიტოვა დიდი მემკვიდრეობა და ცოდნა მუსიკას, ისტორიასა და კულტურას შორის ურთიერთობების ფართო ლანდშაფტის შესახებ.

Theorist of music and composer, multimedia artist and guitarist. He runs empirically oriented researches on music with the use of contemporary analytical tools, including advanced information processing techniques. His doctoral thesis was written under prof. Tomaszewski guidance, and its central point was an acoustic and aesthetic relation between musical harmony and sound timbre. He teaches traditional subjects (classical harmony, renaissance counterpoint, form analysis), as well as contemporary compositional techniques, multimedia tools, electronic music. As a journalist he writes polemic essays on today's condition of the art of music.

THE CONTEXT OF THE CULTURE AS A CENTRAL IDEA IN MIECZYSŁAW TOMASZEWSKI'S THEORY OF MUSIC

Second half o the 20th Century was an arena of contradicting cultural forces. Scientific neopositivism dominated musical discourse reducing subjects of research to the narrow was sphere of technical and formal problems. Wide humanistic perspective on human culture treated as irrelevant. Aesthetic and spiritual values were put out of scientific discussion. In the 1970s and 1980s a group of composers together with musicologists started a campaign aimed at recovering humanistic values within contemporary music. Among them the most extended and coherent theoretical construction was elaborated by prof. Mieczysław Tomaszewski. The „context of culture" became his most important postulate, in monumental work on Chopin's music, as well as on Szymanowski's, Lutosławski's and Penderecki's. He developed a method called „integral interpretation" of music which virtually embraces all available perspectives on particular work of music, from its concept, to cultural reception. Tomaszewski passed away a year ago, leaving us with his great heritage and awareness of wide landscape of relations between music, history and culture.

მაგდა სუხიაშვილი
MAGDA SUKHIASHVILI

საქართველო
GEORGIA

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ძველი ქართული პროფესიული მუსიკის სფეროში 40-ზე მეტი ნაშრომის ავტორი.

გასული საუკუნის ნევმურ სისტემაში გამოყენებული ზოგიერთი სამუსიკო ნიშნის შესახებ

(შემოქმედის სამონასტრო სკოლის ნოტოგრაფიული ტრადიციის მაგალითზე)

გასული საუკუნის პირველი ათწლეულებით დათარიღებულ ნევმირებულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემოქმედის სამგალობლო სკოლის სახელგანთქმული წარმომადგენლის, არტემ ერქომაიშვილის ხელიდანაა გამოსული. ბატონი არტემის მიერ რეგულარულად გამოყენებულ სამუსიკო სიმბოლოთა შორისაა სოლისებური ნიშანი (ანუ დახრილი ხაზი) და წერტილისებური ნიშანი. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სოლისებური ნიშანი ხშირ შემთხვევაში დიდი გრძლიობის ბგერას აღნიშნავს. წერტილისებური ნიშანი და წერტილთა კომბინაცია კი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება – შესაძლოა იყოს მელოდიური ნახაზის მიმართულების, გასამღერი ბგერების რაოდენობის ან გრძლიობის მაჩვენებელი (იშვიათად).

PhD in Art studies; Head of the Church Music Laboratory of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire; author of over 40 works on old Georgian professional music.

ON SOME MUSICAL SYMBOLS USED IN THE NEUMATIC SCRIPT OF THE PAST CENTURY

(On the Example of the Notation Tradition of Shemokmedi Monastic School)

Significant part of the neumed manuscripts from the 1910s is associated with the name of Artem Erkomaishvili, a famous representative of Shemikmedi School of chanting. Among the musical characters regularly used by Erkomaishvili, there is a tapered (or slash) and dot-like symbols. As a result of conducted research it was revealed that the tapered symbol, in many cases, denotes a long sound. While the dot-like symbol and combination of dots are used with different meaning – they can show the melodic line, number of notes to be sung or the length of sound (rarely).

ვლადიმირ ფულკა
VLADIMÍR FULKA

სლოვაკეთი
SLOVAKIA

ფილოსოფიის დოქტორი. სწავლობდა ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე (1975-1979). 2000 წელს მიენიჭა დოქტორის ხარისხი. 2006 წლიდან მუშაობს სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიაში. იკვლევს თეოდორ ადორნოსა და ბოჰუსლავ მარტინუს შემოქმედებას. არის ავტორი წიგნებისა: „ბაროკოს ლინეარულობის სტრუქტურული წყაროები“ (2006), „ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი და მისი ლიტერატურულ-მუსიკალური ესთეტიკა“ (2011) და „მუსიკა ბაროკოში/მუსიკის ანალიზი“ (2006).

სამგლოვიარო მუსიკის ფენომენი ბოჰუსლავ მარტინუს შემოქმედებაში

ბოჰუსლავ მარტინუს, ალბათ, XX საუკუნის უდიდესი ჩეხი კომპოზიტორის, შემოქმედებაში გვხვდება სამგლოვიარო მუსიკის, ტირილის, ან გარდაცვლილი ადამიანის პატივსაცემად შექმნილი მუსიკის ფენომენი. მარტინუს შემოქმედებაში სამგლოვიარო მუსიკის შემოსვლის გარეგანი სტიმული იყო მეორე მსოფლიო ომი. მისი „ომის ციკლი“ (Kriegszyklus) შედგება ოთხი კომპოზიციისაგან: ორმაგი კონცერტი ორი ორკესტრისთვის, კანტატა *საველე მესა*, სიმფონიური პოემა *ლიდიცეს მემორიალი* და მესამე სიმფონია. ომით იყო შთაგონებული პირველი სიმფონიის მესამე ნაწილიც. მოხსენების თემაა სპეციფიკური „მარტინუსეული“ *ლამენტოს*, სამგლოვიარო გალობისა, თუ მისეულ სტილში გადაწყვეტილი სხვა საპანაშვიდო ელემენტების წარმოჩინება, „ომის ციკლის“ კომპოზიციების შედარებითი განხილვის საფუძველზე. კომპოზიტორის წვლილი უკავშირდება სამგლოვიარო მუსიკის ტრადიციის უფრო ფართო კულტურულ და მუსიკალურ-ისტორიულ კონტექსტს, რომლის ნაწილიც იყო მარტინუ, ისევე როგორც სტრავინსკი მუსიკით დილან თომასის ხსოვნისთვის. ეს ტრადიცია მიდის ფსალმუნებამდე, გრიგორისეულ საგალობლამდე და განსაკუთრებით, წმ. ვენსლას უძველეს ჩეხურ ქორალამდე. მარტინუს მუსიკაში გვხვდება ბაროკოს სამგლოვიარო მუსიკის ინსპირაციებიც.

PhD, Studied at the Department of Musicology of Comenius University in Bratislava (1975-1979). In 2000 obtained his doctor´s degree. Works at the Institute of Musicology of Slovak Academy of Sciences in Bratislava (sense 2006). Studies works of Th. W. Adorno and Bohuslav Martinů. Is the author of the books *Structural Sources of the Baroque Linearity* (2006*), Ernst Theodor Amadeus Hoffmann and his Literary-Musical Aesthetics* (2011) and *Music in the Baroque/Music Analysis* (2006).

PHENOMENON OF MOURNFUL MUSIC IN THE WORK OF BOHUSLAV MARTINŮ

In the work of Bohuslav Martinů, maybe the greatest Czech composer of the 20th century, we can find the phenomenon of mournful music, lament, or in honor of someone deceased. An outward impetus of entering the mournful music into Martinů´s music was the Word War II. His „War Cycle“ (Kriegszyklus) consists of four composition: Double concerto for two orchestras, cantata Field Mass, symphonic poem Memorial to Lidice and the 3rd Symphony. Another music inspired by war was the 3rd part of the 1st Symphony. The issue of the lecture is concentrated on specific „martinůian“ lamento, threnody, or dirge elements within his style in his „war cycle“ followed by comparison of these compositions. The contribution follows wider cultural and music historical context of the tradition of lamento music, of which B. Martinů was a part as well as I. Stravinsky with his music In Memoriam Dylan Thomas. It is tradition reaching to psalms, Gregorian chant and especially to ancient Czech Chorale to St. Venceslas. There are also inspirations of the baroque lamento music in Martinů´s music.

მარინა ქავთარაძე
MARINA KAVTARADZE

საქართველო
GEORGIA

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მუსიკის ისტორიის მიმართულებისა და პროგრამა „მუსიკა და დღევანდელობის“ კონცენტრაცია „მუსიკალური ჟურნალისტიკის“ ხელმძღვანელი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კითხულობს რამდენიმე სპეციკურსსა და საავტორო კურსებს. მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია კულტურათაშორისი ურთიერთობისა და ეროვნული იდენტობის, ტოტალიტარიზმისა და მუსიკის, მუსიკალური თეატრის პრობლემატიკასთან და სხვ.. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთი სამეცნიერო პროექტია განხორციელებული. არის მთავარი რედაქტორი სამენოვანი სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალისა „მუსიკოლოგია და კულტუროლოგია“; დამფუძნებელი და რედაქტორი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამეცნიერო გამოცემის „მუსიკოლოგიური ძიებანი“; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია პრემიით „საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომისათვის“ (2012).

მუსიკა ტოტალიტარული კულტურის კონტექსტში

მოხსენება წარმოადგენს XX საუკუნის 20-30-იანი წლების მუსიკალურ-იდეოლოგიური დისკურსის საფუძველზე საბჭოთა კულტურის პოლიტიკის ენის ჩამოყალიბების პროცესის ჩვენების და კონკრეტული ისტორიული ეპოქის იმ საკვანძო ფაქტორების წარმოჩენის ცდას, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მუსიკალური კულტურის, როგორც ტოტალიტარული სისტემის შემადგენლის, ფორმირებაში. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება უზრუნველყოფდა კულტურის ისეთ განვითარებას, რომლის ფარგლებში ხელოვანთ უნდა ემოქმედათ მხოლოდ არსებული ჩაკეტილი სისტემის მიერ დაშვებული ფორმებისა და იდეების კონტროლირებად საზღვრებში. ხელოვნება, როგორც კულტურის რეპრეზენტატორი, იმ ანომალიების ინდიკატორად იქცა, რომელთაც ტოტალიტარიზმი ბადებდა. აღნიშნული პროცესები განიხილება 20-30-იანი წლების ქართული მუსიკალური კულტურის მაგალითზე.

Musicologist, PhD in Art studies, Professor at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, Head of the Music History Direction and program “Music and Modernity” concentration “Music Journalism”. Leads several special courses and author’s courses at Tbilisi State Conservatoire. Her scholarly interests are related to intercultural relations, issues of national identity, totalitarianism and music, problems of music theatre, etc. A number of scientific projects have been realized on her initiative and under her guidance. She is the editor-in-chief of the trilingual electronic scientific journal “Musicology and culturology”; the founder and editor of “Musicological searches” – scientific edition of Georgian Composers Creative union; Chairperson of the Conservatoire Dissertation Board and a member of the academic Council. Is the holder of the prize “For the Best Musicological Work” (2012).

MUSIC IN THE CONTEXT OF TOTALITARIAN CULTURE

The paper attempts to show the formation process of the political language in Soviet culture basing on the ideological discourse and to reveal the key factors of particular historical epoch, which played crucial role in the formation of musical culture, as a constituent of the totalitarian system. The Soviet Government ensured the development of culture in which artists had to act only within the boundaries of the forms and ideas permitted by the existing locked system. Art, as a representer of Culture became an indicator of the anomalies generated by totalitarianism. The afore-mentioned processes are discussed on the example of Georgian musical culture of the 1920s-1930s.

PARTICIPANTS
მონაწილეები

გვანცა ღვინჯილია
GVANTSA GVINJILIA

საქართველო
GEORGIA

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი. კითხულობს მუსიკალური კრიტიკის, მსოფლიო და ქართული მუსიკის ისტორიის კურსებს. არის 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, სისტემატურად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.

ქრისტიანული ეკუმენიზმის ნიშნები იგორ სტრავინსკის „ფსალმუნების სიმფონიაში“

თუკი თანამედროვე ქრისტიანული ეკუმენიზმი, როგორც სხვადასხვა კონფესიის გაერთიანებისკენ მიმართული მოძრაობა, ოფიციალურად მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა, მათი შეკავშირებისა და ხელოვნების ნიმუშის ერთიან მხატვრულ სივრცეში მოქცევის ტენდენცია საუკუნეებს ითვლის. კანონიკის დაცვის პირობებშიც პლანეტარული ცნობიერების მქონე გენიალურ ხელოვანთა ნაწარმოებები უზარმაზარ ისტორიულ მეხსიერებას უყრიან თავს. როგორც ეკლესიის მიღმა ხელოვნების ავტონომიურად განვითარებულ დარგებს შორის რჩება კვლავ სინთეზისკენ ლტოლვა, ისე სასულიერო თემაზე დაწერილ ნაწარმოებებშიც ვლინდება ერთიანი ეკლესიის გათიშულობის გადალახვის მოთხოვნილება სხვადასხვა კონფესიის ტრადიციების შერწყმის გზით. ჯერ კიდევ ნიდერლანდელთა მესეებშია შეკავშირებული კათოლიკური ტრადიცია და კალვინისტური ცნობიერებით მოტანილი ნოვაციები. ამ მხრივ, სრულიად უნიკალური ფენომენია ი. ს. ბახის სასულიერო მუსიკა, რომელშიც პროტესტანტული და კათოლიკური ტრადიციებია ურთიერთგადაჯაჭვული. კიდევ უფრო საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე მართლმადიდებელი კომპოზიტორის იგორ სტრავინსკის შემოქმედებაში. სტატიის კვლევის ობიექტია „რომანულის“ და „რუსულის“ თანაარსებობის საკითხი „ფსალმუნების სიმფონიაში“. ნეოკლასიცისტური ესთეტიკით შექმნილი ამ ნაწარმოებისთვის ისედაც ტიპურია სტილური თვალსაზრისით განსხვავებული ეპოქებისა და სკოლების მუსიკალურ კულტურათა თავისებურებების სინთეზი, მხატვრული მოდელების მრავალფეროვნება; ამასთან, თავად ფსალმუნებისადმი მიმართვა კომპოზიტორს კათოლიკური და მართლმადიდებლური მუსიკის სხვადასხვა ჟანრული მოდელების, ცალკეული ტენდენციების, მართლმადიდებლური და კათოლიკური სასულიერო ჟანრების კანონიკის შერწყმის ფართო შესაძლებლობებს აძლევს.

Musicologist, PhD in Art Studies, Associate Professor of Music History Department at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, a member of the Georgian Composers Union. She leads the following courses: Music Criticism, History of the World and Georgian Music. She was the holder of the scholarships of Z. Paliashvili and the President of Georgia; She is author of 50 scientific works, regularly participates in national and international scientific conferences.

SIGNS OF CHRISTIAN ECUMENISM IN IGOR STRAVINSKY'S „SYMPHONY OF PSALMS"

If modern Christian ecumenism, as a movement directed towards the unification of various confessions, was officially formed in the 20th century, a tendency of their merge with placing a piece of art in unified artistic space already counts centuries. Even when canonics is preserved, opuses of world-renowned artists hold a huge historical memory. Just as there persists an aspiration to synthesize branches of art that developed autonomously beyond the church, also the opuses written on spiritual theme reveal a demand to overcome disjunction of the united church by merging traditions of various confessions. An interesting event occurs in the art of Igor Stravinsky, an Orthodox composer. The article researches the issue of coexistence of "Romanic" and "Russian" in Igor Stravinsky's "Symphony of Psalms." This opus, created with neoclassicist aesthetics, has a diversity of artistic models. It is still typical for it to merge peculiarities of musical cultures pertaining to epochs and school, different in the stylistic points of view. The form of psalms gives the composer wide opportunities to merge various genre models of Catholic and Orthodox music as well as certain tendencies and canonics of Orthodox and Catholic spiritual genres.

ნანა შარიქაძე
NANA SHARIKADZE

საქართველო
GEORGIA

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. მისი სამეცნიერო კვლევისა და სწავლების სფეროა მე-20 საუკუნის მუსიკალური ავანგარდი და მუსიკის თეატრი, ტოტალიტარული რეჟიმები და მუსიკა. მისი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაინერგა ახალი სამაგისტრო კურსი („მე-20 საუკუნის მუსიკალური თეატრი"). მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. მისი ნაშრომები იბეჭდება ისეთ გამოცემებში, როგორიცაა „მუსიკოლოგია და კულტუროლოგია", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებულები, „ლიტვური მუსიკოლოგია". მისი კვლევა განხორციელდა DAAD-ის (2012), საქართველოს პრეზიდენტის (2002-2004), პოლონეთის კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო გრანტის – „სასწავლო ვიზიტი *ჟტუკის* ინსტიტუტში" (2019) მხარდაჭერით. არის საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა კავშირის წევრი. 2009-2019 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი; 2019 წლის ოქტომბრიდან – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორია.

მუსიკალური ცენზურა, როგორც სახელმწიფო ტერორის სიმბოლო სსრკ-ში

ქართული მუსიკის კრიტიკის ისტორია დაკნინებისა და ჩაგვრის ისტორიაა. მუსიკის კრიტიკა 70 წლის განმავლობაში პოლიტიკურად მართვადი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მკაცრი ცენზურის გადალახვას 20 წელზე მეტი დასჭირდა. მუსიკის კრიტიკა ასახავდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე ბობოქარ პროცესებს; ის ცდილობდა გადარჩენილიყო წითელი ტერორის პერიოდში. მეორე მხრივ, მუსიკის კრიტიკა გახდა ცენზორთა რუპორი ხელოვნების ნიმუშების შეფასებისას. ქართული მუსიკის კრიტიკის დაკნინება ხელს უშლიდა კრიტიკული კონცეფციებისა და იდეების განვითარებას, რამაც, გარკვეულწილად, მუსიკის კრიტიკოსები ცენზურის მეორეხარისხოვან მსახურებად გადააქცია.

PhD in Art studies, Associate Professor, Music History direction at Tbilisi State Conservatoire. Her research and teaching is focused on XX century musical avant-garde and music theater, totalitarian regimes and music. New MA course ("XX century Musical Theater") has been introduced at TSC on her initiative. She participates in national/international conferences. Her works appear in the publications such as "Musicology and culturology", Bulletin of the Georgian Academy of Sciences, Bulletin of TSC, Lithuanian musicology. Her research has been supported by the DAAD (2012), Georgian President (2002-2004), Polish Institute of Culture research scholarship "study visit to Institute Sztuki" (2019). Is a member of the Georgian Composers and Musicologists Union. In 2009-2019 was Head of International Relations Department of Tbilisi State Conservatoire; since October, 2019 – Rector of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire.

CENSORSHIP IN MUSIC AS A SYMBOL OF STATE TERROR IN THE USSR

The history of Georgian music criticism is the history of mortification and oppression. Music criticism was politically driven for 70 years and it took more than 20 years after the collapse of Soviet Union to step over the line of severe censorship. Music criticism reflected the whole turbulence of the country's political and cultural development; it strived to survive in the period of red terror; on the other hand music criticism became a voice of censors in the process of evaluation of art pieces. Mortification of Georgian music criticism prevented it from developing critical concepts and ideas; and to some extent transformed music critics into censorship servants with secondary role.

თამარ წულუკიძე
TAMAR TSULUKIDZE

საქართველო
GEORGIA

მუსიკოლოგიის დოქტორი, 2017-დან დღემდე თბილისის მუზეუმების გაერთიანების ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ექსპოზიციის მენეჯერი. მეცნიერული კვლევის სფერო – ქართული მუსიკა, ძველი და თანამედროვე ქართული კულტურა, მუსიკალური თეატრი. მონაწილეობს კონფერენციებში, გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამეცნიერო კრებულებში. 2011-დან დღემდე – მოწვეული ლექტორი თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, სადაც 1994-2007 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მომზადებული აქვს სტატიები ქართული თეატრალური ენციკლოპედიისათვის. 2015 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მოწვეული ლექტორი. 2002-2004 – ატარებდა ლექცია-კონცერტებს თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის ხაზით. 2010-2012 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფირების ექსპერტი. 2008-დან ჟურნალ „მუსიკის“ თანარედაქტორია, 1992-1996 – გაზეთ „მუსიკის“ კორესპონდენტი. 2008-დან საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრია.

გიზო ჟორდანიას საოპერო რეჟისურის შესახებ

გიზო ჟორდანიამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართული საოპერო რეჟისურის ისტორიაში. ცხადია, ეს ადგილი არ განისაზღვრება მხოლოდ რეჟისორის ხანგრძლივი მოღვაწეობით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ეს განსაზღვრა იმ შედეგებმა, რაც მოჰყვა მის მოღვაწეობას ამ სფეროში.
ნაშრომი ეხება გ. ჟორდანია – საოპერო რეჟისორის ძიებების პროცესს, რეჟისორის ბრძოლას საოპერო შტამპებთან, მოძველებულ გამომსახველობით ფორმებთან. აღნიშნულია ამ ძიებების აქტუალობა მსოფლიო საოპერო რეჟისურის კონტექსტში. მოხსენებაში ხაზგასმულია გ. ჟორდანიას წვლილი ეროვნული საოპერო ნიმუშების სცენურ ცხოვრებაში.

Doctor of Musicology, The field of scientific research – Georgian music; old and contemporary Georgian culture; Musical theatre. Participates in conferences, has published articles in scientific journals. Since 2011 – an invited lecturer at the University of Theatre and Cinema, where she taught and conducted scientific work (from 1994 to 2007). 2015 – The invited lecturer at Tbilisi State Conservatoire. 2002-2004 – deliverd lectures for Philharmonic concerts. Since 2008 – Co-editor of "Musika" journal, 1992-96 – correspondent of the newspaper "Musika". Has been a member of the Georgian Composers Union since 2008.

ON GIZO ZHORDANIA'S OPERA DIRECTING

Gizo Zhordania holds an honorable place in the history of Georgian opera directing. It hasn't been defined only by his nine-year stint as the Head Director at the Theatre of Opera and Ballet of Tbilisi, rather by the results of his activity in the domain of opera.
The work discusses opera director Gizo Zhordania's search, his battle against the stamps of opera, outdated forms of expression. The relevance in the context of global opera direction is also noted. The author takes a closer look to some of Gizo Zhordania's plays at Zakaria Paliasvhili Tbilisi Opera and Ballet Theatre.

რუსუდან წურწუმია
RUSUDAN TSURTSUMIA

საქართველო
GEORGIA

დოქტორი, ემერიტუს პროფესორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი. მის პედაგოგიურ-სამეცნიერო ინტერესებშია ქართული მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, კულტუროლოგია, ეწევა სარედაქტორო საქმიანობას, მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში საქართველოსა და საზღვარგარეთ, გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართულ, გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; არის თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი 2002 წლიდან, საერთაშორისო პროექტების ავტორი; ICTM-ისა და ESEM-ის წევრი; 2009-2013 წლებში **იუნესკოს** არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტი და საკონსულტაციო საბჭოს წევრი. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს **იუნესკოს** კომისიის წევრი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს აკმ-ს ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე. ქართულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია ფონდ „ქართული გალობის“ პრემიით.

გივი ორჯონიკიძე: პიროვნება, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

მოხსენებაში დახასიათებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გივი ორჯონიკიძე, რომელიც, თანამედროვეების აღიარებით, „კულტურაში შემოვიდა, როგორც ახალი ტიპის სწავლული“, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ქართულ მუსიკალურ კულტურაში, არამედ „მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საბჭოთა კავშირის 70-80-იანი წლების მხატვრული ცხოვრების ფორმირებაზე“; მოხსენებაში ხაზგასმულია ორჯონიკიძის ტრაგიკული ბიოგრაფიის როლი მისი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და სამეცნიერო იდეების ინოვაციურობაში, რამაც იგი პირველგამკვალავად აქცია მუსიკის მრავალმხრივ, მათ შორის, საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი ასპექტების კვლევაში. ყურადღება გამახვილებულია ორჯონიკიძის, როგორც მუსიკალური მოღვაწის, საქმიანობის მასშტაბებზე და მისი მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის წარმოსაჩენად მოხმობილია ქართველი, რუსი და გერმანელი თანამედროვეების შეფასებები ამ „უნიკალური და უნივერსალური“ პიროვნების შესახებ.

Dr., Emeritus Professor, Director of the International Research Centre for Traditional Polyphony of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. Her pedagogical-scientific interests include history of Georgian music, ethnomusicology, culturology, she carries out editorial activity, participates in international forums in Georgia and elsewhere, has published the works in Georgian, German, Russian and English languages. She is one of the founders of Tbilisi International Symposium on Traditional Polyphony and organizer since 2002, author of international projects; a member of ICTM and ESEM; a UNESCO expert of ICH and member of Consultative Council in 2009-2013. An academician of the Georgian Academy of Educational Sciences, a member of Georgian Composers' Union, a member of the UNESCO Commission at the Georgian Ministry of Foreign Affairs and a chairperson of the Experts' Council at the National Cultural Heritage Agency. For her contribution in Georgian science has been awarded the Prize of "Georgian Chanting Foundation".

GIVI ORJONIKIDZE: A PERSON, SCIENTIST, PUBLIC FIGURE

The paper presents outstanding Georgian scientist and public figure Givi Orjonikidze, who according to his contemporaries "came to culture as a scholar of a new type", who left an indelible mark not only on Georgian music culture, but "significantly influenced" the formation of artistic life in the Soviet Union of the 1970s-1980s". The paper highlights the role of Orjinikidze's trajic biography in the formation of his personal qualities and innovativeness of his scientific ideas, which made him a pathfinder in the research of the issues unacceptable to Soviet ideology. The paper focuses on the scale of Orjonikidze's activities, as a music figure and for demonstration of his high international authority refers to the evaluations of his Georgian, Russian and German contemporaries about this "unique and universal" personality.

პატრიკ ჰუანგი
PATRICK HUANG

დიდი ბრიტანეთი
UK

ამჟამად სწავლობს ეთნომუსიკოლოგიას ლონდონის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). მისი კვლევის საგანია ბერძნულ-რომაული და სინოსფერული (აღმოსავლეთ აზიის კულტურული სფერო) მუსიკალური სისტემების შედარება და მათი წარმოშობის ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლები.

მითოლოგიისა და მუსიკის წარმოშობის შესახებ: ლეგენდა პითაგორას ჩაქუჩებზე და მისი კავშირი აღმოსავლეთთან

პითაგორას ჩაქუჩი ძვ. წ-ით II საუკუნეში ნიკომახეს მიერ მოთხრობილი ცნობილი მითია მუსიკის თეორიის აღმოჩენის შესახებ. ისტორია მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოაჩინა პითაგორამ მუსიკალური წყობის თეორია მჭედლის მიერ სხვადასხვა ჩაქუჩით გამოცემული ბგერების მოსმენისას. ეს თეორია აშკარად არამეცნიერულია, ვინაიდან ის არ შეესაბამება აკუსტიკის პრინციპებს. ყოველ შემთხვევაში, პითაგორას სკოლამ მუსიკის თეორია მონოქორდების საშუალებით შეიმუშავა. ამდენად, *თანამედროვე აკადემია* (Barker) თანმიმდევრულად უარყოფს ნიკომახეს, როგორც არამცოდნე თეორეტიკოსს.

თუმცა, მუსიკის თეორიის აღმოჩენის გაცილებით ადრეული ვერსიის კვალს მივყავართ ორი ღვთაების შერწყმით შექმნილ დედოფალ კიბელეს მითთან, რომლის ეკვივალენტი ხეთურ მითოლოგიაში არის *კუმბალა* (Werner). მისი ეტიმოლოგია, შესაძლოა, უკავშირდებოდეს სიტყვას *კუბა* ანუ კუბი (Baring & Cashford), რაც, სავარაუდოდ, მიანიშნებს უძველეს დროში ახლო აღმოსავლეთში გავრცელებულ მეტეორიტების თაყვანისცემის პრაქტიკაზე.

მოხსენებაში მოკლედ არის განმარტებული ისტორია პითაგორას ჩაქუჩისა, რომელიც შედარებულია *რეა კიბელეს* მითთან და სხვა შესაბამის ფაქტებთან, რათა თვალი მივადევნოთ მის ვარიანტებსა და გავრცელების გზას. უფრო მეტიც, გადაფასებულია აღმოსავლური გავლენის რამდენიმე მაგალითი ძველ საბერძნეთში, როგორიცაა, *რევოლუციის ორიენტალიზაცია* (Burkert, 1992) და *ანატოლიური ინტერფეისები* (Collins et al., 2010), პითაგორას ჩაქუჩზე მონათხრობთან მათი შესატყვისობის შეფასების მიზნით.

Currently studies ethnomusicology at University of London (UK). His research focuses on a comparison between the historical origin and philosophical background of Graeco-Roman and Sinospheric music systems.

ON MYTHOLOGY AND MUSIC ORIGIN: THE LEGEND OF PYTHAGOREAN HAMMERS AND ITS TIES TO THE ORIENT

The Pythagorean Hammer is a famous myth of the discovery of music theory, as depicted by Nicomachus in 2nd century A.D. In the story, Pythagoras discovered the theory of music tuning by listening to the tones made by blacksmith's different hammers. This story is evidently unscientific as it does not conform to acoustic principles, at any rate, the Pythagorean School developed music theory through monochords. Thus, Nicomachus has been consistently dismissed as an unintelligent theorist by modern academia (Barker).

However, a far earlier version of founding of music theory can be traced to the myth of *Rhea Kybele*, the Phrygian goddess conflated from two deities, the equivalent deity being *Kumbaba* in Hittite mythology (Werner). Its etymological origin might in fact be '*kuba*' i.e. a cube (Baring & Cashford), which may point towards the practice of meteorite worship prevalent in Ancient Near East.

In my presentation, I will briefly explain the detailed story of Pythagorean Hammer, followed by a comparison with the myth of *Rhea Kybele*, *Kumbaba,* and other relevant evidence in order to trace its variations and paths of dissemination. Furthermore, I will reassess several models of Oriental influence in Ancient Greece, such as *Orientalising Revolution* (Burkert, 1992) and *Anatolian Interfaces* (Collins et al., 2010) in order to assess their consistency with the account of the Pythagorean Hammer.

კონფერენციის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისთვის მადლობას უხდიან:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
თავისუფალ თეატრს
ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს
სამების საკათედრო ტაძრის გუნდს
საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირს
საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის სიმებიან კვარტეტს
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხსა და
საქართველოს რადიოს
საპატრიარქოს ტელევიზიას „ერთსულოვნება“
ჟურნალს „მუსიკა“

THE CONFERENCE ORGANIZERS ARE MOST GRATEFUL TO:

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA
LIBERTY THEATER
GEORGIAN PHILARMONIC ORCHESTRA
TRINITY CATHEDRAL CHOIR
GEORGIAN COMPOSER’S UNION
THE STRING QUARTET of GEORGIAN COMPOSER’S UNION
THE FIRST CHANAL and GEORGIAN RADIO of GEORGIAN PUBLIC BROADCASTING
TV CHANNEL “ERTSULOVNEBA”
THE JOURNAL “MUSIKA”